საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის რვა აგვისტოს მე, **დავით წივწივაძეს**, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N1ა, მომმართა **ირაკლი აგაბაშვილმა**, როგორც შპს „კარკასი"-ს (ს/კ 430029015) დირექტორმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე, დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ირაკლი აგაბაშვილმა (დაბ. 09.10.1971, პ/ნ 60001034410, გაცხადებული მისამართი: თბილისი ქობულეთის I შეს. N 15 ბ. 6)** მომმართა მის მიერვე წარმოდგენილი პასპორტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აღნიშნულმა პირმა მომმართა, ასევე დავრწმუნდი მის უფლებაუნარიანობაში ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო არაკომერციული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცი, მომზადების თარიღი: B24057386, 06/05/2024 23:05:55. მე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობასა და ნების გამოვლენის ნამდვილობაში, რის შემდეგაც შევადგინე რწმუნებულების ტექსტი რომელიც გავაცანი მარწმუნებელს, რომელმაც თავადაც წაიკითხა და მოიწონა იგი, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წიმდებარე რწმუნებულებას:

რწმუნებულება

მე, **ირაკლი აგაბაშვილმა**, როგორც შპს „კარკასი"-ს (ს/კ 430029015), შემდგომში მარწმუნებელი, დირექტორმა, ამ მინდობილობით, **ბაადურ ჯინჭარაძეს (დაბ. 14.02.1974, პ/ნ 01024050001)** შემდეგში „რწმუნებული" მივანიჭე შემდეგ უფლებამოსილება:

რწმუნებული, უფლებამოსილია იყოს ჩემი როგორც შპს „კარკასი" -ს ს/კ 430029015 (შემდგომში საზოგადოება) დირექტორის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, კერძო და საჯარო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობებში, მერიებში, მათ შორის ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, დეპარტამენტებში, არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურებში, საპროექტოში, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებართვა, შეათანხმოს პროექტი და აიღოს შესაბამისი ნებართვა (ყველა სტადიის ჩათვლით), შეცვალოს და/ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, გააგრძელოს ნებართვის ვადა, მოაწეროს ხელი შესამაბის დოკუმენტს, ნებართვებს ან/და თანხმობებს, აწარმოოს სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, სარეგისტრაციო დოკუმენტის დახარვეზების შემთხვევაში წარადგინოს შესწორებული დოკუმენტაცია და შეასწოროს ხარვეზი, განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა, მოახდინოს დოკუმენტების ატვირთვა, გადაიხადოს გადასახადები, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს/გამოითხოვოს/ჩაიბაროს ყველა საჭირო დოკუმენტები. მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ ყველა დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც გათვალისწინებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად

რწმუნებულება გაცემულია ორი წლის ვადით, მრავალჯერადი გამოყენების უფლებით

დოკუმენტი შედგენილია სამ თანაბრმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით წივწივაძის სანოტარო არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაციის ნომერი, ამონაწერის მომზადების თარიღი: B24057386, 06/05/2024 23:05:55, გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად 30.0 (ოცდაათი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი, სულ 40.4 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი: დავით წივწივაძე

საქართველო. ნოტარიუსი-დავით წივწივაძე GEORGIA. NOTARY-DAVID TSIVTSIVADZE 57001010416

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
42349087068724

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241017097

რეგისტრაციის თარიღი

08.08.2024 წ

ნოტარიუსი: დავით წივწივაძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N1ა
ტელეფონი: 595075240

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18